ჰაერის კონდიცირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ჰაერის კონდიცირებაში/fourth level vocational qualification in Air Conditioning

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია

კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელსაც შეუძლია ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემების პრინციპული სქემების გამოყენება, მიწოდებული სამუშაო ნახაზების წაკითხვა და მათ საფუძველზე ხელმძღვანელის მითითებულ ადგილზე საჭირო ჰაერსატარების და აპარატურის მონტაჟის, მომსახურებისა და დემონტაჟის განხორციელება; ვენტილაციისა და კონდიცირების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დროის განსაზღვრა; კონდიცირების სისტემის სამუშაოებისთვის საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების დამოუკიდებლად განსაზღვრა და გამოყენება.

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს ჰაერის კონდიცირების სისტემის სამუშაოები;
2. მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს „სპლიტ“ სისტემის ჰაერის კონდიციონერი;
3. მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს პირდაპირი და არაპირდაპირი ჰაერის კონდიცირების სისტემები;
4. მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს ვარიაციული გაგრილების ჰაერის კონდიცირების სისტემებს;
5. მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს ვენტილაციის მექანიკური სისტემები;
6. მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს ვენტილაციის ელექტრული სისტემები;
7. მომსახურება გაუწიოს და დაამონტაჟოს გაცივების სისტემები;
8. შეიმუშაოს სამუშაოსთან დაკავშირებული დოკუმენტები.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორით (ISCO) განსაზღვრული პოზიციებია:

- ჰაერის კონდიცირების მექანიკოსი
- გაგრილების სისტემების (მაცივრების) მექანიკოსი

საქსტატის ეკონომიკური საქმიანობის სახეები - 43.22.00 წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების მონტაჟი.

ქვეკლასი შეიცავს:

- ჰაერის კონდიცირების სისტემების დაყენებას, მათ შორის დამატებას, გადაკეთებას, ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მოცულობა: 52 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა: 9 თვე
პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. ააიპ საქართველოს სამაცივრო და კრიოგენულიტექნიკის და ჰაერის კონდიცირების ინჟინერთა ასოციაცია
2. შპს. სამშენებლო მასალები
3. შპს. სერვის ცენტრი
4. შპს. კოკაკოლა ბოთლერს ჯორჯია
5. შპს. ტურინვესტი
6. შპს რადისონ ბლუ ბათუმი
7. შპს. ბულვარის კარიჭე
8. შპს. პარაგრაფ სერვისის
9. შპს. კასტელო მარე